



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ვ ა ნ ი ს მ უ ნ ი ც ი პ ა ლ ი ტ ა ე ტ ი ს ს ა კ რ ე ბ უ ლ ო
G E O R G I A
M U N I C I P A L I T Y C O U N C I L O F V A N I



ოქმი:პ/8015483

თარიღი:02/07/2021

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე

სხდომის ოქმი N10

ქ. ვანი, თავისუფლების ქ. N65 29.06.2021 წ.

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე - **ალექსანდრე ლილუაშვილი**.

სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 27 წევრი: - ალექსანდრე ლილუაშვილი, ტარიელ ბარამიძე, კობა ტოხვაძე, გელა ჩიკვაძე, ვლადიმერ ჭვალაძე, ეთერ ჭიჭინაძე, დავით ხარძეიშვილი, თამთა დვალიშვილი, თამარ შენგელია, მალხაზ ცერცვაძე, რობიზონ ფუტკარაძე, თენგიზ დვალიშვილი, დავით კაკაბაძე, თორნიკე ერისთავი, ალექსანდრე ოქროპილაშვილი, გია ხარაბაძე, ივანე კორძაძე, შალვა ლორთქიფანიძე, ამირან ტალახაძე, პაატა ხურციძე, ვარლამ გიორგაძე, გელა ღვიტიძე, სანდრო ხურციძე, შოთა გიორგაძე, აპოლონ რამიშვილი, მერაბ ხურციძე, დავით ადვიშვილი.

სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: გიორგი ივანიაძე, რამაზ არველაძე, ბიჭიკო პაიკიძე, გელა ვარდოსანიძე, გიგა გოგიბერიძე, გია ოჩხიკიძე, ოლეგი მიქელთაძე, კობა ძაგნიძე.

(დანართი: N1)

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი- **ლუიზა ჯოგლიძე**.

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის მოადგილე იურიდიულ საკითხებში- **სალომე ფახურიძე**.

მოწვეული პირები:

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი
- **ივანე მამფორია**;

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის და მუნიციპალური ქონების
მართვის სამსახურის უფროსი სპეციალისტი - **ზაზა ოჩხიკიძე**.

სხდომის თავმჯდომარე ალექსანდრე ლილუაშვილი საკრებულოს ღია
სხდომას 11⁰⁰ საათზე გახსნილად აცხადებს.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

დღის წესრიგი

1. „ვანის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“
ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 დეკემბრის N28
დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მომხს: ივანე მამფორია

2. „საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების სამთავრობო
კომისიის მიერ გამოცხადებულ კონკურსში წარსადგენი, საპროექტო იდეების
მოწონების შესახებ“

მომხს: ზაზა ოჩხიკიძე

წარმოდგენილი პროექტისადმი შენიშვნები არ გამოთქმულა. ჩატარდა ღია
კენჭისყრა:

მომხრე: 26

წინააღმდეგი: არცერთი

დაადგინეს: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს:

დღის წესრიგით წარმოდგენილ პირველ საკითხთან დაკავშირებით, ვანის
მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა-ივანე
მამფორიამ წარმოადგინა „ვანის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის
დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28
დეკემბრის N28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ინფორმაცია.

მომხსენებელმა განმარტა, რომ ბიუჯეტში ცვლილება განპირობებულია
სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე
საქართველოს მთავრობის 2021 წლის 11 მარტის N 330 განკარგულებაში, 2021
წლის 11 ივნისის N 969 განკარგულებით შეტანილი ცვლილებით, გამოყოფილი
თანხის ბიუჯეტში ასახვის საჭიროებით.

- საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 02 01)
ასიგნება იზრდება 380,0 ათასი ლარით.

ზემოაღნიშნული ცვლილებებიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტის
შემოსულობები ვანისაზღვრება 13091,8 ათასი ლარით, გადასახდელები 14392,3
ათასი ლარით, ხოლო ნაშთის ცვლილება 1300,5 ლარით.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე - 26

წინააღმდეგი - არცერთი

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს დადგენილება „ვანის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 დეკემბრის N28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

(დადგენილება: N15)

მოისმინეს: დღის წესრიგით წარმოდგენილ მეორე საკითხთან დაკავშირებით, ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა-ზაზა ოჩხიკიძემ წარმოადგინა „საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების სამთავრობო კომისიის მიერ გამოცხადებულ კონკურსში წარსადგენი, საპროექტო იდეების მოწონების შესახებ“ განკარგულების პროექტი, რომლის მიხედვითაც მოწონებული იქნას „საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამით“ გათვალისწინებული, ვანის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარსადგენი 6 საპროექტო იდეების განაცხადი:

ა) უნიკალური პოტენციალის გამოყენებით ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მიზნით - ქ. ვანში გივი ყიფიანის სახელობის ტყე-პარკის რეაბილიტაცია.

ბ) უნიკალური პოტენციალის გამოყენებით ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მიზნით - ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ შუამთაში, შუამთა-ქედის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია.

გ) ადგილობრივი ბიზნესის განვითარების ხელშეწყობი ინფრასტრუქტურის მოწყობის მიზნით სოფელ ფერეთაში ტურისტულ ზონამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია.

დ) ადგილობრივი ბიზნესის განვითარების ხელშეწყობი ინფრასტრუქტურის მოწყობის მიზნით სოფელ სალხინოში საოჯახო სასტუმროსა და შატომარანთან მისასვლელი საუბნო გზის რეაბილიტაცია.

ე) სოციალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით ქ. ვანში თავისუფლების ქუჩაზე მდებარე სკვერისა და მასზე განთავსებული შენობის რეაბილიტაცია.

ვ) ეკონომიკური, კულტურული, სპორტული და საგანმანათლებლო მიზიდულობის არილის განვითარების მიზნით ქ. ვანში ტაბიძის ქუჩაზე მდებარე სპორტული კომპლექსის რეაბილიტაცია.

მომხსენებელმა განმარტა, რომ რომ პროექტების ჩამოყალიბება ხდება საწყის ეტაპზე იდეის დონეზე, რომელიც დასაბუთებით და შესაბამისი არგუმენტებით განმტკიცებული უნდა კარნახობდეს საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების სამთავრობო კომისიის მიერ გამოცხადებულ

კონკურსის ძირითად მიზნებს: უნდა ემსახურებოდეს ტურიზმის და ბიზნესის, განათლების და სოციალური სფეროს განვითარებას. აღნიშნულ კონკურსში მოწონებული და შერჩეული იდეას შემდეგ ვაძლევთ პროექტის სახეს. მინდა ზოგადად წარმოგიდგინოთ თუ რას მიზანს ემსახურება თითოეული საპროექტო იდეა:

ა) უნიკალური პოტენციალის გამოყენებით ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მიზნით - ქ. ვანში გივი ყიფიანის სახელობის ტყე-პარკის რეაბილიტაციის მიზნებია:

მიმზიდველი სანახაობრივი და დასასვენებელი გარემოს შექმნა ტურისტებისა და ვიზიტორებისათვის არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლისა და ბუნების უნიკალური პოტენციალის გამოყენებით და ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს შექმნა ბიზნესის განვითარებისათვის, რასაც შედეგად მოჰყვება რეაბილიტირებული ტყე-პარკი, მოწყობილი საპარკინგე, დასასვენებელი და გასართობი ინფრასტრუქტურა, ადგილობრივი ისტორიული კოშკი.

ბ) უნიკალური პოტენციალის გამოყენებით ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მიზნით - ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ შუამთაში, შუამთა-ქედის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაციის მიზანია: მიმზიდველი სანახაობრივი გარემო ტურისტებისა და ვიზიტორებისათვის არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლისა და ბუნების უნიკალური პოტენციალის გამოყენებით, ხელსაყრელი საინვესტიციო გარემო ბიზნესის განვითარებისათვის, ადგილობრივი მოსახლეობისათვის გაუმჯობესებული სოციალურ-ეკონომიკური გარემოს შექმნა.

გ) ადგილობრივი ბიზნესის განვითარების ხელშეწყობი ინფრასტრუქტურის მოწყობის მიზნით სოფელ ფერეთაში ტურისტულ ზონამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაციის მიზანია მიმზიდველი საინვესტიციო გარემო ბიზნესის ხელშეწყობისა და ტურიზმის განვითარებისათვის. ადგილობრივი მოსახლეობისათვის გაუმჯობესებული სოციალურ ეკონომიკური გარემოს შექმნა.

დ) ადგილობრივი ბიზნესის განვითარების ხელშეწყობი ინფრასტრუქტურის მოწყობის მიზნით სოფელ სალხინოში საოჯახო სასტუმროსა და შატომარანთან მისასვლელი საუბნო გზის რეაბილიტაცია, რომლის კონკრეტული მიზანია 560 მ სიგრძის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია, საპარკინგე ადგილითა და სანიაღვრე არხებით, რომელიც მიმართულია როგორც ადგილობრივი მოსახლეობისათვის გამარტივებული გადაადგილებისათვის ასევე ტურიზმისა და ბიზნესის განვითარებისათვის.

ე) სოციალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით ქ. ვანში თავისუფლების ქუჩაზე მდებარე სკვერისა და მასზე განთავსებული შენობის რეაბილიტაცია, კონკრეტული მიზანია:

რეაბილიტირებული სკვერი, მოწყობილი დასასვენებელი და გასართობი ინფრასტრუქტურა. რეაბილიტირებულ შენობაში განთავსებული საგანმანათლებლო დაწესებულებები.

ვ) ეკონომიკური, კულტურული, სპორტული და საგანმანათლებლო მიზიდულობის არიალის განვითარების მიზნით ქ. ვანში ტაბიძის ქუჩაზე მდებარე სპორტული კომპლექსის რეაბილიტაცია. აღნიშნული პროექტის განხორციელება ხელს შეწყობს ეკონომიკური, კულტურული, საგანმანათლებლო და სპორტული არიალის განვითარებას, როგორც მუნიციპალიტეტის ასევე რეგიონის დონეზე. გარდა ტურნირების ჩატარებისა სპორტულ კომპლექსში მოხდება ახალგაზრდებისა და მოზარდების მომზადება სხვადასხვა სპორტულ სახეობებში (კალათბურთი, ფრენბურთი ჭიდაობა, კრივი და სხვა). რაც მთავარია მოხდება ადგილობრივი მცირე ბიზნესის განვითარება.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე – 26

წინააღმდეგი – არცერთი

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულება „საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების სამთავრობო კომისიის მიერ გამოცხადებულ კონკურსში წარსადგენი, საპროექტო იდეების მოწონების შესახებ“
(განკარგულება: N გ-65. 65211801)

საკითხების ამოწურვის შემდეგ საკრებულოს რიგგარეშე სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

ალექსანდრე ლილუაშვილი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სხდომის თავმჯდომარე

ალექსანდრე ლილუაშვილი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე